ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 241

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 15 ოქტომბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში – „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი მერის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი თანიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „აქვა გეო" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი ჯირკვალიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სასმელი წყლის და ერთჯერადი ჭიქების შეძენა მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის
.

1.2. ხელშეკრულების 1.1 მიზნისათვის "მიმწოდებელი" დროებით სარგებლობაში გადასცემს "შემსყიდველს" წყლის დისპენსერებს, ბოცებს (19 ლიტრის მოცულობის, პოლიკარბონატის ტარას). შემსყიდველზე გაცემული დისპენსერი, ბოცები გაყიდვამდე რჩება მიმწოდებლის საკუთრებაში;

1.3. დისპენსერის, ბოცების (ტარის)რაოდენობა (შემდგომში „ინვენტარი"), ასევე მათი განთავსების მისამართები მოცემულია მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს, მათ შორის:
- CPV 41110000 30 ბალონი 210 ლარი.
-CPV 39222120 2000 ჭიქა 40 ლარი.

2.2. 19 ლ. ბალონი წყალი „სნო" , ერთეულის ღირებულება 7(შვიდი) ლარი; პლასტმასის ჭიქა 180 გ. , ერთ.ღირებულება 2(ორი) თეთრი.

2.3. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით ან /და სასაქონლო ზედნადებით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მოთხოვნიდან ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის მისამართზე ქ. დუშეთი რუსთაველის ქ N27 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;
5.6. "შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) მიიღოს და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ინვენტარი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით. დაიცვას ინვენტარის ექსპლოატაციის პირობები, გაუფრთხილდეს და დაიცვას დაზიანებისაგან. მომხმარებლის, შემსყიდველის, ან მესამე პირთა (განზრახვითი, ან გაუფრთხილებლობითი) ბრალეულობით გამოწვეულ დისპენსერების დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის, ან მისი დაკარგვის შემთხვევაში „შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს თოთოეულ დაზიანებულ დისპენსერზე 300 (სამასი) ლარი დღგ-სჩათვლით, აღნიშნული დაზიანების/დანაკლისის დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
ბ)წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მიწოდებისას დააბრუნოს მიწოდების ოდენობის შესაბამისი ცარიელი ბოცა (ტარა) ვარგის მდგომარეობაში, განსხვავების შემთხვევაში დგება მიღება-ჩაბარების აქტის სხვაობის რაოდენობაზე;
გ)მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინვენტარი და განახორციელოს მისი აღრიცხვა-ინვენტარიზაცია;
დ) ინვენტარის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული დანაკლისის შემთხვევაში გადაიხადოს თითოეული დაკარგულ/დაზიანებულ ბოცაზე (ტარაზე) – 20 (ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო თითოეულ დაკარგულ/დაზიანებულ ბოცის სადგამზე – 15 (თხუთმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით აღნიშნული დაზიანება/დანაკლისების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
ე) მიმწოდებელთან წინასწარი შეათანხმების გარეშე არ გადაადგილოს დისპენსერები სხვა მისამართზე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოთხოვნილი რაოდენობის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ

სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
,,დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია“	შპს აქვა გეო“
ს/კ: 229324451	ს/კ: 204564113
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მის: ქ. მცხეთა, სოფ. მისაქციელი
ხაზინის კოდი:TRESGE	სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა: GE24NB0330100200165022	ა/ნ: GE96 BG00 0000 0621 6715 00
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი თანიაშვილი	გენერალური დირექტორი გიორგი ჯირკვალიძე

KA990162495233418

2256/08

12 / ოქტომბერი / 2018 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ გიორგი თანიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის
სამეურნეო–ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის გია ჭონქაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გვესაჭიროება სასმელი წყალი ,,სნო". 30 ცალი 19 ლიტრიანი ბოცა 210 ლარის, (1ც. - ბოცის ფასი 7-ლარი) და 2000 ცალი პლასთმასის 180გრ. ერთჯერადი ჭიქა 40 ლარის, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოამზადონ ხელშეკრულება.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამეურნეო–ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გია ჭონქაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. დუშეთი 15.10.2018 წელი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში (ხელშეკრულება N 241 15.10.2018 წ.) მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი /გ. ჭონქაძე/

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ.დუშეთი 22. 10. .2018წ

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი გია ჭონქაძე,ამავე განყოფილების მესამე კატეგორიის სპეციალისტმა თამაზ ბულაურმა და შ.პ.ს. ,,აქვა გეო"-ს შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი მასზედ, რომ სახელმწიფო შესყიდვების N ხელშეკრულების ფარგლებში შპს „აქვა-გეო"-სგან შეძენილი იქნა 20 ბოცა 19 ლტ. სასმელი წყალი ,,სნო" (140 ლარის) და 2000 ცალი ერთჯერადი პლასტმასი 180გრ. ჭიქა(40 ლარის) სულ 180 ლარის.რომელიც ჩაიბარა დუშეთის მუნიციპალტეტის სამეურნეო-ტექნიკურმა განყოფილებამ.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ჩვენს მიერ და ვაწერთ ხელს.

ჩაიბარა:

სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების

უფროსი: /გია ჭონქაძე/

ს/ტექნიკური განყოფილების

სპეციალისტი. / თ. ბულაური/

ჩააბარა:

შ.პ.ს ,,აქვა გეო"-ს გენერალური

დირექტორი: / გიორგი ჯირკვალიძე/